№ 39 თებერვლის 20, ოთხშაბათი. 1866—1885 თებერვლის 20, ოთხშაბათი. № 39

„დროების" რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში. ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული-უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible]ბისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის გვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

## უსაფუძვლო მორიდება

თბილისი, თებერვლის 20-ს

კავკასია სივრცით ბევრს ევროპის სახელმწიფოს არ ჩამოუვარდება: იგი დიდია საბერძნეთზედ, დანიაზედ, პორტუგალიაზედ, იტალიაზედ და საფრანგეთზედაც ბევრით ნაკლები აღარ არის. სივრცის გარდა, ბუნებაც მრავალფეროვანი აქვს და მის ნიადაგზედ მოდის ბევრი სასარგებლო მცენარე, რომელსაც რუსეთის სამხრეთ გუბერნიებშიაც კი კაცი წამლად ვერ იპოვნის. მაში რომ არ ვახსენოთ, რადგან იგი ცოტად თუ ბევრად ჰხარობს ყირიმში და ბესარაბიაშიც, კავკასიაში მოდის ბამბა, ბრინჯი, ენდრო და სხვა ცხელი ქვეყნების მცენარეობა. ყოველ ამას თავის კულტურა აქვს, ხელის ცოდნა უნდა, წესიერად მოყვანა და შემუშავება.

უცხო ქვეყანაში ვერ ნახავთ ამისთანა ბუნებით შემკულს მხარეს, რომელსაც რამდენიმე სამეურნეო სასწავლებელი არა ჰქონდეს მდაბალი, საშუალო, თუ უმაღლესი. იქ თითონ ცხოვრებაც სკოლად გადაქცეულა და წერა-კითხვის უცოდინელნი სოფლის მუშაკნიც კი ყოველ დღე ჰხედვენ საუკეთესო სამეურნეო ცოდნას.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, თავის კავკასიაში ყოფნის დროს, მიაქცია იმას ყურადღება, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელიც ამ გვარ სკოლებით შემკული უნდა იყოს, შემკული კი არა, შემოსილიც არ არის და მოახდინა განკარგულება—ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. დიდს ხანს არ გაუვლია ჯერ მინისტრის აქ ყოფნის დროიდამ და ამიტომ იმედი არ უნდა დავიკარგოთ, რომ ეს განკარგულება, როდესაც იქნება, აღსრულებაში მოვა; მაგრამ ამ ვადამდე არ იქნებოდა ურიგო და უმართებულო,—ჩვენც გულ-ხელ დაკრეფილნი არ დავმსხდარვიყავით და ამ საქმეზედ გვეზრუნა, თუ საქმით არა, თხოვნით მაინც...

მარჯვე შემთხვევა გვეძლეოდა ამისათვის მოსალოდნელ ასის წლის იუბილეის დღეს თავად-აზნაურთა სიგელის მოცემისას იმპერატრიცა ეკატერინე მეორისაგან. ჩვენმა თავად-აზნაურობამ იგრძნო ეს და შეყრილმა კეთილშობილთა დეპუტატთა ზალაში, გადასწყვიტა: იმპერატრიცა ეკატერინესათვის უსულო ქვის ძეგლის აგებას ემჯობინება იმისთანა ძეგლი აიგოს, რომელიც მუდამ ჟამს მომასწავებელი იყოს მისი დედობრივის მზრუნველობისა. ჩვენმა თავად-აზნაურობამ ნამდვილად განსაჯა, რომ უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი საუკეთესო სახსოვარი იქნება დიდი იმპერატრიცისათვის და ფრიად სასარგებლოც თვით თავად-აზნაურობისათვის; მან გადასწყვიტა 10000 მანათის გამოღება, თუ მთავრობის დახმარებით დაარსდება უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი ყირიმში, ან ბესარაბიაში.

ჩინებული აზრია და სრულის თანაგრძნობის ღირსიც, მაგრამ ერთი რამ გარემოება გვაკვირვებს და ვერავითარის გზით ვერ აგვიხსნია. ყირიმში და ბესარაბიაში ორიოდ სამეურნეო სკოლა მაინც არსებობს და ჩვენი ქვეყანა კი ამ სიკეთეს მოკლებულია. ამას გარდა, თუ იქ დაარსდა უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, მიქცეული ექნება ყურადღება მხოლოდ ადგილობრივს წარმოებას და იმ მცენარეულებათა კულტურას კი, რომელნიც ჩვენში უხვად მოდის, ნება-უნებურად გვერდზე ჩაუვლიან. ბაგზავნა ყმაწვილებისა ყირიმს ან ბესარაბიას სასწავლებლად ჩვენ, კავკასიელებს, ისე ძვირად დაგვიჯდება, როგორც პეტროვსკის აკადემიაში, ან ალექსანდროვის სასწავლებელში და მაშასადამე ამ სასწავლებლის დაარსება სრულიად ვერაფერს გვარგებს.

მაშ რამ დაუშალაო, იფიქრებს მკითხველი, ჩვენს თავად-აზნაურობას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ თვით კავკასიაში დაარსებულიყო ამ გვარი სასწავლებელი განსაკუთრებით ჩვენის ქვეყნის პირობისამებრ მოწყობილი და ჩვენი მცენარეების კულტურის მასწავლებელი? ამბობენ შიშმაო, რომ ეს თავის მოყვარეობად არავინ ჩამოგვართვასო. მერე ამისთანა თავის მოყვარეობა განა დასაძრახისია? განა ათასფერის სასარგებლო მცენარით აყვავებული, საფრანგეთის ტოლი მხარე ღირსი არ არის, რომ ერთის სამეურნეო სასწავლებლით მაინც შეამკოს?

## შინაური ქრონიკა

═ თებერვლის თვრამეტს ქალაქის რჩევას ჰქონდა მორიგი სხდომა, რომელზედაც მოისმინა და დაამტკიცა გამგეობის მოხსენება ქალაქის გამსესხებელი ხაზინის, ანუ კასის დაფუძნების შესახებ. შემდეგ ქალაქის გამგეობის ერთმა წევრთაგანმა მოახსენა კრებას მართლაც რომ გაწვალებული ამბავი ქალაქის წარმომადგენელ დაწესებულებისა და თბილისის, სამკურნალოს შორის. ჩვენმა

«დროების» ფელტონი, თებერ. 20-ს

## „გაზაფხული"

მოთხრობა ფანნი მერსი.

(დასასრული *)

### V

ის ნამდვილი ნორმანდიული ქვეყანა იყო. ძველსა სახლს და ფართო ეზოს გარს ხეები შემორიგებული ჰქონდა. შორი-ახლოს ტყე იყო და იქვე ჩამოწკრიალებდა პატარა მდინარე.

ავადმყოფს თავის-თავი სამოთხეში ეგონა. ახლა პარიჟი შორს იყო და იგი მთლად მიეცა ცხოვრების ფუფუნებას. პიერს სრულიად დაენდო და ბუნების ცქერით ბავშვსავით აღტაცებაში მოდიოდა.

ყველაფერს მოჰყავდა აღტაცებაში ლიუსი: მყუდრო ღამეს, სუნნელოვან ყვავილებს, ბრწყინვალე მობიბინე ზაფხულის დღეს.

პიერი სიამოვნებით ატყობდა, რომ ლიუსი თანდათან მოჯობინდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ფერმენი შესცდა და ლიუსი უეჭველად მორჩებოდა.

მხიარულად და მყუდროდ მდინარეობდა მათი ცხოვრება. სიცილში და უმანკო ცელქობაში ისე გადიოდა დღეები, რომ ვერაფერს გებულობდენ.

პირველ დღეებში პიერი სიზარმაცეს მიჰყვა, მაგრამ შემდეგ კი ისევ გამხნევდა. ახლა ერთი-ორად საჭირო იყო იმისათვის მუშაობა! ლიუსიც ყოველთვის გვერდით ჰყავდა და მომავალს ცხოვრებაზედ ერთად ბაასობდენ—სხვა რაღა უნდოდა?

ერთი სიტყვით, მათი ცხოვრება წარმოადგენდა სრულს ბედნიერების სურათს.

ამაოდ ელოდა პიერი მასში დედობრივის ასაკის გაღვიძებას, ამაოდ ეძებდა მის თვალებში მორცხობით შემოხედვას. ის წითლდებოდა ყოველ წამს: გაფრენილი ფრინველი, გლეხის თავის დაკვრა ყოველივე ეს მორცხობით ახრევინებდა თავს, მაგრამ ეს მორცხობა არ იყო საყვარელ კაცის გვერდით ყოფნით გამოწვეული.

მაშინ პიერი გაავთრებული მიჰყოფდა ხოლმე საქმეს ხელსა და ჰკითხავდა მთრთოლვარე და დაღვრემილის ხმით:

— როდის ვიქორწინოთ, ჩემო სასურველო?

— მალე პიერ! ცოტა მოიცადე! როდესაც პატარა მოვჯობინდები, მაშინ ვიქორწინოთ.

ამ დროს პიერს შიში შეიპყრობდა ხოლმე და ფიქრობდა: განა დადგება იმისთანა დღე, რომ ლიუსი ნამდვილად «მორჩეს».

სხვებმაც დაატყეს მას მოჯობინება და ყველას ასიამოვნებდა მათი ბედნიერება.

პიერი ბეჯითად შრომობდა. სურათი ორ კვირაზედ დაასრულა. მაგრამ გულს სევდა მოაწვა.

ერთხელ დილით, როდესაც, ისინი ისხდენ ერთად ბალიშზედ, ლიუსი ვაოცდა პიერის დაშტერებით ცქერისაგან.

— პიერ!

იმან გარდააგდო სამხატრო კალამი და მიუბრუნდა ლიუსის.

— საყვარელო ლიუსი...

— შენ როგორღაც მხიარულად არა ხარ, ჩემო მეგობარო. მე ეს მტანჯავს. ერთგვარი ცხოვრება მოგწყინდა. შენ გინდა პარიჟის ნახვა და არ გინდა ამაში გამოტყდე.

— კარგად კი გამოიცანი.

პიერი სწრაფად წამოდგა. ლიუსიმ იტირა და მეტის თქმა ველარ გაბედა. ორივენი გაჩუმდენ.

პიერმა გარდმოხედა ლიუსის და მაშინვე შეინანა თავისი სასტიკი სიტყვა. მივიდა მასთან და ალერსიანად უთხრა:

— მომიტევე, ლიუსი. მე სულაც არ მომიწყენია. გაყვავილე ჩემი ცხოვრება, შენ ჩემთვის ყოველისფერი ხარ! რა არის ჩემთვის პარიჟი? მაგრამ... მე შეყვარებული ვარ, შენ მიყვარხარ... და შენ ეს არ გინდა გაიგოთ...

— რატომ არ მინდა? მეც თითონ სულით და გულით მიყვარხარ, ისე რომ არავინ არა მყვარებია.

სრულიად დარწმუნებული იყო ლიუსი, რომ მას ნამდვილად ესმოდა პიერის ტრფიალება.

პიერმა განაგრძო ხუმრობით:

— რაღას ველით მერე ჩვენა? შენ სრულებით მორჩი. ჩვენ სეირნობის დროს ხანდისხან, სოფლამდინ მივდივართ... რაღად ვაგვიანებთ ქორწილსა?

პიერმა ეს წყნარად წარმოსთქვა, მაგრამ ძლიერის გულის ძგერით; ლიუსიმ უპასუხა:

— როდესაც გინდა, თუნდ ხვალე! სოფელში მღვდელი არის...

— საჭიროა კიდევ რაღაც ფორმალური წესები... ამ წესების შესრულებას მე ხვალვე შევუდგები... არ გეშინიან მარტო დარჩენისა?

— ბავშვი ხომ არა ვარ?

მხურვალედ ხელის ჩამორთმევის შემდეგ, ლიუსიმ განაგრძო:

— შენის ცოლობით მე ისეთი ბედნიერი ვიქმნები... ისეთი მადლობელი ვარ შენი...

*) იხილე „დროება" № 38.

მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის გამგეობამ უარი სთქვა სამკურნალოში მოსამსახურე პირთათვის ჯამაგირების ძლევაზე. ამ უარის საფუძვლად გამგეობას ის მოჰყავდა, რომ რაკი სამკურნალოს უნდა საჭირო ხარჯი ჩვენგან მიიღოს, ბარემ ჩვენ უნდა დაგვექვემდებაროს, ჩვენ უნდა გვაძლევდეს ანგარიშსაო. სამკურნალოს გამგეობა-კი წინააღმდეგი იყო ამ დაქვემდებარების და გამგეობისათვის ანგარიშის ძლევისა და ამბობდა — სანამ ყოფილი მთავარ-მმართებლისაგან დამტკიცებული ინსტრუქცია, რომლითაც დაწესებულია ჩვენი სამკურნალო, არ არის გაუქმებული — სიმართლე არა გვაქვს რომ ქალაქის გამგეობას დავექვემდებაროთო. — ამის გამო აწინდელს სხდომაზედ ქალაქის გამგეობაც და ხმოსანთა უმრავლესობაც ამბობდა, რომ სამკურნალოს გამგეობისაგან თავის გასამართლებლად წამოყენებული ინსტრუქცია თავის-და-თავად გაუქმებულია იმ დღიდან, რა დღიდანაც თბილისში შემოღებულ იქმნა საქალაქო დებულებაო; მაშასადამე სამკურნალოს აქამომდე არსებობა, რაკი ქალაქის გამგეობისადმი დაქვემდებარებული არ არის, ყოვლად უსაფუძვლო და უკანონოაო. მაგრამ რადგანაც ამ სხდომაზე დამსწრე დირექტორი სამკურნალოსი, იგივე ხმოსანი რჩევისა დოქტ. ვერმიშევი აცხადებს სურვილს ქალაქის წინაშე დამორჩილებისას, ამიტომაც ვიდრე პოლიციის წესით დავიქვემდებარებდეთ სამკურნალოს, დაენიშნოთ კომისია და ამ უკანასკნელმა მოაგვაროს ქალაქის გამგეობისა და სამკურნალოს შეთანხმების საქმეო. რჩევამ მიიღო ეს აზრი და კომისიის არჩევა მიანდო თვით გამგეობას.

გაზეთებისაგან წინა წლებში ყბად აღებული ადრესის სტოლის შესახებ გადასწყვიტეს: იშუამდგომლონ მმართებლობის წინაშე, რომ მან მოსპოს ქალაქის ნება-დაურთველად და სურვილის წინააღმდეგ პოლიციისაგან თბილისში დაარსებული ადრესის სტოლი, რომლისთვისაც ყოველს სახლის პატრონს, შეძლების გაურჩევლად, წელიწადში თითო მანათს ახდევინებს პოლიცია, თუმცა-კი ამ სტოლს სრულიად არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო.

═ ჩვენს ქალაქში ისედაც უსუფთაოდ მომდინარე მტკვარში საზაფხულო თეატრის საგაზო ქარხნიდგან ნავთის ნარჩენები ბლომად ჩადის თურმე და წყალი ამით მეტად ფუჭდება და სუნიც ეძლევა. ეხლა, როდესაც ზაფხული ახლოვდება და გაზის შემზადება მეტი მოუნდებათ, უეჭველია, ამ უწმინდურობასაც უფრო ხშირად ჩაუშვებენ მდინარეში. წარსული წლის ხოლერამ, ევროპაში გავრცელებულმა, აშკარად დაგვანახვა, რა მზრუნველობა და სიფრთხილე ეჭირება ხალხის სანიტარულს მხარეს და რა ძნელია ამ გვარს ავადმყოფობასთან ბრძოლა წინადვე მოუმზადებელ ქალაქებისთვის. მეტი არ იქნება ეხლავე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქუჩების გასუფთავებას და, რამდენადაც შეიძლება მდინარის წმინდად შენახვას.

═ დ. ძველ სენაკიდგან გვწერენ: „როგორც იყო მოვესწარით დ. ძველ სენაკში თავად-აზნაურთა კრების დანიშვნას. ბუშინ მოგვივიდა ნება-რთვა გუბერნატორისაგან და კრება 24-ს თებერვლისათვის არის დანიშნული. უპირველესი საგანი ამ კრებისა არის ჩვენი სკოლის სახლის აშენება და სასწავლებლის შესანახავად ფონდის დაარსება. პირველი უთუოდ მოხერხდება, მაგრამ მეორე როგორ წავა, ღმერთმა იცის. აქაური კრების საქმე ძლიერ დაკავშირებულია ზუგდიდის და ოზურგეთის თავად-აზნაურთა სურვილზედ. როგორც გვითხრეს, ზუგდიდის თავად-აზნაურთ სხვისი უხამსი ჩაგონებით გადუწყვეტიათ ასიათასი მანეთის შეწირულება იმ გვარ მოსალოდნელ დაწესებულებისათვის, რომელიც კიდეც რომ დაარსდეს, იმის მეათასედ სარგებლობასაც ვერ მოგვიტანს, რასაც გვაძლევს ჩვენი საკუთარი, ჩვენი ღვიძლი სკოლა. ეს მოსალოდნელი დაწესებულება თუნდა დაარსდეს მალე შემწირველებისვე მემკვიდრეთ შეუკრავს წარბს და ზურგს შეაქცევს... ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ ზუგდიდის თავად-აზნაურთ ამისთანა დაწესებულებისათვის კი არ შეეწირათ, არამედ, თუ რამე გააჩნდათ, საკუთარი სასწავლებელი უნდა მოეწყოთ, სადაც თვითვე იქმნებოდენ ბატონიც და პატრონიც“.

═ ყოველ მხარეს საჩივარი ისმის იმ უსიამოვნო შთაბეჭდილების შესახებ, რომელსაც თბილისის ქუჩებში ძაღლების მოწამვლა იწვევს. ერთბაშად რომ იხოცებოდენ საწამლავისაგან ასეთი მძიმე სანახავი მაინც არ იქნებოდაო, ამბობენ მოსიარულენი, თორემ მოწამლული ძაღლები მთელი დღე დალასლასებენ, ჩამოსდით პირიდგან დორბლი და ბევრს, ნამეტნავად ქალებს, გულს უხეთქავენ, რადგანაც ცოფიანები ჰგონიათო...

═ თბილისის გარეშე სოფლებიდგან ფულის უქონლობაზედ ყოველის მხრიდგან საჩივარი მოგვდის. იწერებიან, რომ სოფლის ნაწარმოები შინ გვიყრია და ნახევარ ფასად მსყიდველებიც-კი არსადა სჩანანო.

═ საჩხერიდამ გვატყობინებენ: „თებერვლის 1-ს კიდევ გაიმართა საჩხერეში სპექტაკლი კნ. სადიკო წერეთლის მოთავეობით ქუთაისის უფასო საქალებო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა „ბაიყუში“ ცაგარლისა და „მე მინდა კნეინა გავხდე“ — ანტონოვისა. წარმოდგენა საზოგადოდ ძალიან კარგად წავიდა. იანვრის 8 ს. გამართულმა სპექტაკლმა კარგი ზედ მოქმედება იქონია საზოგადოებაზე: მეორედ იმოდენა ხალხი მოატყდა რომ ბილეთს და ადგილს ველარ შოულობდენ და ბევრი უკან ბრუნდებოდა, რადგან ტევა აღარ იყო. ხარჯს გარდა შემოვიდა 97 მანეთი, რომელიც გაეგზავნა დანიშნულებისამებრ კნ. ნინო ჩოლაყაშვილისას“.

═ იმერეთის ყოვლად-სამღვდელოს კანცელიარიისაგან მოგვივიდა შემდეგი შენიშვნა პასუხად „დროების“ მე-26 №-ში დაბეჭდილის რაჭის კორესპონდენციისა: თქვენის პატივ-ცემულის გაზეთ „დროების“ მე-26 ნომერში არის დაბეჭდილი კორესპონდენცია დ. ონიდგან (რაჭის მაზრა), რომელშიაც ბატ. ნ. მ—შვილი აცნობებს მკითხველებს, რომ ვითომც დღეს გა-

---

— მარტო მადლობელი! ეგ საშინელებაა! შეჰყვირა პიერმა.

— რაც კი შემიძლიან, შეგიყვარებ!

## VI

შინ დაბრუნებულს პიერს ლიუსი კარებში დახვდა, თეთრი კაბით მორთული და ოქროს ფერ თმაში ჩატანებული ცისფერი ლენტით:

— რა ლამაზი... ხარ.

— კაბის ბრალია ეგა!

გულ-წრფელის სიამოვნებით ჩაათვალიერა დიდი ხნის მოდიდან გამოსული, თეთრი პიკის კაბა, რომელსაც იშვიათად გაბედავდა ჩაეცვა ვისიმე პრანჭია ქალბატონის მოახლეც.

— მე ეს კაბა სრული სამი წელიწადია არ ჩამიცვამს, განაგრძო ლიუსიმ, — უკანასკნელად მამიჩემის სიცოცხლის დროს მეცვა. მასში თვრამეტის წლისა შევსრულდი და ინგლისურის ჩვეულებისამებრ, მამა ჩემმა თვრამეტჯერ მაკოცა...

— ამ გვარი ჩვეულება არ უნდა დაჰკარგოს კაცმა...

და თამამად მიიწია იმისკენ პიერმა.

— ათეულზე ერთი, მოწყალეო ხელმწიფევ, გონივრულად უნდა...

— რას ყმაწვილობ! უკანასკნელ მეოც-და-ერთ წელს, მერე რა ვუყოთ? ეს წელიწადი უძვირფასესია ჩემთვის, იმიტომ რომ მე შენ გაგიცანი.

— მართალია! უთხრა ლიუსიმ და შუბლი მიუშვირა.

— ოჰ, რატომ ათი წლით ხნიერი არა ხარ!

— ეგ მეტის-მეტია! — წარმოსთქვა ყმაწვილმა ქალმა და გაინთავისუფლა თავი კოცნისაგან გაწითლებულმა.

— ხელი-ხელს გაყრილებმა გასწიეს ტყისაკენ. დიდ მუხის ძირას ჩრდილში მიმსხდრებმა, სადაც წინადვე საუზმე მზად ჰქონდათ, დაიწყეს მხიარულად ჭიკჭიკი.

— ო, რა კარგად მოვეწყობით ჩვენ პიერ! გავიმართოთ დიდი სახელოსნო და გვერდითვე ჩვენთვის ორი ოთახი. ამასთანავე მე დიდი ხანია ერთ თავ-მოსაწონ აზრს შევტრფი...

— რასა, საყვარელო?

— მე მსურს, კი არ დამცინო — მე მინდა ყვავილების ხატვა... ისეთი მიყვარს ყვავილები! მე მათი ენა მესმის, ვესაუბრები მათ, ვგრძნობ მათ სიცოცხლეს... მე სახლშიაც შემიძლიან მათი ხატვა და არ დამჭირდება იმ საძაგელ კიბეზედ ასვლა.

— შენ მართალს ამბობ, ლიუსი! მაშინ ჩვენ ყოველთვის ერთად ვიქნებით.

მზე დაიხარა, ჰაერი შეგუბდა.

— წავიდეთ, გავსინჯოთ ეკლესია, რომელშიაც ჩვენ ჯვარს დავიწერთ, — უთხრა პიერმა.

— წავიდეთ!

იმათ გასწიეს სოფლისკენ. ყმაწვილი ქალი გაჩუმდა, მხოლოდ ბედნიერების ღიმილი არ მოსცილებია მის ბაგეს.

სოფლის მახლობლად იყო სასაფლაოც, პატარა ფერდობზე.

ყმაწვილმა ქალმა კარები რომ შეაღო, უნებლიედ ჟრუანტელმა გაურბინა ტანში.

— რა რიგათა ცივა აქა! წაიჩურჩულა მან. ლიუსი დასასვენებლად ჩამოჯდა ერთს საფლავის კუნჭულზედ; ეკლესიის გვერდით პატარა სასაფლაო იყო, რამდენიმე იფნის ხეების ქვეშ.

— დაიღალე, ჩემო საყვარელო?

— ცოტათი! რატომ არ ჩამოჯდები? რა მშვენიერი დღე არის, პიერ! მე ისეთი ბედნიერი ვარ! წარსული რომ მომაგონდება, რა მარტო ვიყავი, სრულიად მარტო, ეხლა კი შენა მყვხარ, შენა, ჩემო თვალის ჩინო, ჩემო ოჯახო, ჩემო მეგობარო, ჩემო ქმარო და ყველაფერო...

— და შენც საუკუნოდ იქნები ჩემთან!

პიერმა მიიკრა იგი გულზედ და გარდაკოცნა.

— გვიან არის, ლიუსი, აგრილდა კიდეც...

ისინი წამოდგნენ. ლიუსიმ გადასწია საფლავის ქვაზედ მოფენილი ფოთლები და ხმა მაღლა წაიკითხა:

მარი ლუიზა კარტე.

გარდაიცვალა ოცდა ერთის წლისა.

მცირედმა ჟრუანტელმა ხელ-ახლად გაურბინა მას ტანში.

— რა ახალ-გაზდა...

და ჩაფიქრებული ლიუსი არ აშორებდა საფლავს თვალს.

— წავიდეთ, ლიუსი, თუ ღმერთი გრწამს!

მათ წყნარად გასწიეს შინისაკენ. დაღალული ლიუსი მაშინვე შევიდა თავის ოთახში. შუაღამისას მოუვიდა საშინელი ხველა.

— ეს ჰაერის ცვლილებისაგან არის! შენიშნა სახლის პატრონმა: წვიმა მოდიოდა და გარეთაც ციოდა. პიერი შევიდა ლიუსისთან, რომელმაც ნაზად გაუღიმა და წასჩურჩულა:

— ჩემო მეგობარო...

მეორე დღეს პიერმა გაუგზავნა ჟერმენს შემდეგი ტელეგრამა: „თუ ცოტადაც არის გიყვარვარ, ამ საათში მოდი“.

ჟერმენი იმ საღამოს მოვიდა. მან ყურადღებით გასინჯა ლიუსი და დაეთანხმა სახლის პატრონის სიტყვას, რომ საქმე სულ მზეზე არის დამოკიდებული. მაგრამ მზე თავს არ იჩენდა.

უქმებულს სხვაის მონასტერში სამიკიტნო დუქანი გამართოს ნ. ჯ—ძეს, თითონ კი ცოლ-შვილით მოთავსებულიყოს ტაძარში, ხოლო იმ ადგილას, სადაც განისვენებენ ამ ოდესმე განთქმულის მონასტრის წინამძღვარნი, ადუშებინოს თავლა პირუტყვთათვის. ამ შებილწვას ,,ჩვენთა მამა-პაპათა სალოცავისა და გაჭირვებულთ მფარველისას'' დიდად აუღელვებია ბატ. ნ. მ—შვილი და ითხოვს, რომ მონასტერი დაცულ იქმნას ამ გვარის შეგინებისაგან.

ამ ნამდვილის ფაქტის აღსადგენელად მოთხოვნელი ვართ ადგილი მისცეთ თქვენს პატივ-ცემულს გაზეთში ამ მცირე შენიშვნას.

წარსულის წლის დეკემბრის 31-ს იმერეთის მწყემს-მთავარმა ყოვლად-სამღვდელო გაბრიელმა ვინმე ბ—ისაგან მიიღო განცხადება სწორედ იმ შინაარსის, როგორი შინაარსისაც არის ,,დროებაში'' დაბეჭდილი წერილი. ამისმა მეუფებამ დაუყოვნებლივ მოახდინა გამოძიება, მაგრამ აღმოჩნდა სულ წინააღმდეგი იმისა, რაც განცხადებაში ეწერა. აღმოჩნდა, რომ ნანია ჯაფარიძე (ალბად ეს უნდა ჰყავდეს სახეში კორესპონდენტს) არის ჭყელიმის მონასტრის მთავრობისაგან დაყენებული მცველი და ყარაული, როგორც სხვაის ძველის მონასტრისა, ისე მონასტრის მამულებისა, რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებლები თურმე აოხრებდენ მონასტრის ადგილებს და თვითონ მონასტერიც იბილწებოდა მათივე პირუტყვებისაგან. ეს ყარაული ჯაფარიძე ცხოვრებს მარტო და არა ეკლესიაში, არამედ ცალკე სადგომში ეკლესიის კარებს გარედ. თვითონ ეკლესია კი აქვს სუფთად შენახული და, რასაკვირველია, არავითარი სამიკიტნო იქ გახსნილი არ აქვს; აგრეთვე იმას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ თავლა აეშენებია პირუტყვებისთვის. ჯაფარიძის მოსვლამდის ვიდაც მგზავრებს ეკლესიის კარები დაიატაკი დაეწვათ, მაგრამ ხსენებულს ჯაფარიძეს გაუკეთებია ახალი კარები და ეკლესია—ტრაპეზი ისე წმინდად აქვს დაცული, როგორც რიგი მოითხოვს. თითონ ჯაფარიძე ბ—ის განცხადებას მიაწერს იმ დაუძინებელს მტერობას, რომელიც თურმე მათ შორის დიდის ხნიდგან არსებობს.''

== ,,კავკაზს'' გაუგონია, რომ სამხედრო უწყებას ასი ათასი მანათი გადუდვია თბილისში სამხედრო მუზეუმის დაარსებისათვის.

== იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ რუსეთის ერთს სავაჭრო ფირმას, სახელდობრ ,,საბა მოროზოვის შვილების და ამხ.'' ასი ფუთი ბამბის თესლი მიუწოდებია მუქთად კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-თავსმჯდომარისათვის, რომ სამეურნეო საზოგადოებამ უსასყიდლოდ დაარიგოს იგი კავკასიის იმ კუთხეებში, სადაც თვით საზოგადოება საჭიროდ დაინახავს.

---

## „დროების“ კორესპონდენცია

ქუთაისი, თებერვლის 18-ს. ქალაქის საბჭომ, როგორც იყო, განიხილა ამ წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. რას მივაწეროთ დაგვიანება, არ ვიცით. ,,ანგარიში'' უნდა განხილულიყო ან დეკემბრის ბამლევს, ან იანვრის დასაწყისს. უდროოდ დროს საქმის გარჩევა არ შეიძლება მავნებელი არ იყოს. ბევრის ჯაფითა და საქმითა თავს ვერ იმართლებს ქალაქის გამგეობა დაგვიანებისათვის.

ამ ჟამად ,,ანგარიშის'' განხილვამ წყნარად ჩაიარა. არ ყოფილა ჩვეულებრივი ყაყანი და აყალ-მაყალი. ამის მიზეზი ადვილი მისახვედრია. წინად დავი-დარაბა ატყდებოდა ხოლმე ყოველთვის ჯამაგირების მოკლებასა, ან მომატებაზე. სენატის გადაწყვეტილობამ იმ საქმის თაობაზე, რომელიც გაზეთებში იყო გამოცხადებული, წელი მოსწყვიტა ქუთაისის საბჭოს ორატორებს. თუმცა ჯერ ოფიციალური მოწერილობა ამ საქმეზე არ არის, მაგრამ მაინც ამ ამბავმა ზედმოქმედება იქონია. არ შეგვიძლიან, ჩვენის მხრით, არ თანა-ვუგრძნოთ სენატის გადაწყვეტილობას. თითქმის ყველა საქმეების საფუძვლიანი გარჩევა მიტოვებული იყო ამ ჯამაგირების გამო. ეგებ ეხლა უფრო გულ-მოდგინედ და დაკვირვებით გაარჩიონ შემოსავალ-გასავლის ანგარიში; გარდა ამისა ათას ნაირ უკმაყოფილობას ბოლო მოელება.

საბჭოს უკანასკნელ სხდომებზე ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: სულ უბრალო რასმეზე ატყდებოდა ერთი დიდი ბაასი და ლაპარაკი და მძიმე-კი ორი სიტყვაც არ ითქმებოდა და შეუცვლელად მიიღებდენ გამგეობის წინადადებას. ეგრეთვე საყურადღებო და სასიამოვნოც იყო, რომ 500 მანათამდე გადადვეს დროებითი საავადმყოფოს მოსაწყობად: [illegible]-კი არის, მაგრამ არა [illegible]. სხვა-და-სხვა გადამდები სენი რაც არ მატულობს, თორემ არ ჰკლებულობს.

ქუთაისის ქუჩაზე ხშირად შეხვდება კაცი ალმაშფოთებელ სურათს. დროგები, რომელნიც საქონელს ზიდვენ ვაგზალიდან ქალაქში და ქალაქიდან ვაგზალზე, ისე ულვთოდ დატვირთულნი არიან სიმძიმით, რომ ცხენები ფეხებს ძლივს მიათრევენ. დაუმატეთ ამას,—მედროგეს მათრახის ტყლაშუნი ცხენების ზურგზე, და ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ—რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ საბრალო პირუტყვები. ნეტა თუ არიან ქუთაისში წევრები პირუტყვთა დამცველ საზოგადოებისა, ან თუ ჰყავს ამ საზოგადოებას იქ აგენტი? ესენიც რომ არ იყვნენ, პ—ციის ვალდებულება მაინც არის ჯეროვანი ყურადღება იქონიოს ამ გარემოებაზე.

ალ. ხ.

---

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

თებერვლის 18-ს.

შანხაი. ფრანცუზები მიადგნენ გემებით ნინგ-პოსკენ მიმავალ მდინარეს და ყუმბარები დაუშინეს მისს შესართავთან მდებარეს ქალაქს ჩინხაზს.

ტაშკენტი. დღეს გამოაცხადეს სენატის განაჩენი ხოჯენტის მაზრაში 1876 წ. აღმოჩენილ ბო-

---

— რაო? ჰკითხა პიერმა, როდესაც ისინი გარედ გამოვიდენ.

— გამხნევდი, ძმაო! შენ ბედნიერების წამი აჩვენე მას და შენი სიხარული კი დასრულდა. ველარავინ ვერ შეიძლებს მაგის შველას, ის-ღა დაგრჩენია მხოლოდ უკანასკნელი წამი დაუტკბო.

რამდენიმე დღის შემდეგ თითქოს ცოტათი მოიხედა. ჟმაწვილ ქალს უეჭველად უნდოდა ფანჯარასთან ჯდომა, რომ ეცქირა ტყისათვის, ცისთვის, ბალახისა და ყვავილებისათვის.

მას სურვილი აუსრულეს.

პიერი არ მოსცილებია. ლიუსი თითქოს სრულიად კარგად შეიქნა და კვალად გაებაასა და უთხრა პიერს ჩვენ როდის ,,დავევირგინდებით''.

ეს სიტყვები თითქოს არ იყო მწარე დაცინება.

გულში კი ორივენი გრძნობდენ, რომ ჟამი მოახლოვებულია. ლიუსი ხშირად იგონებდა უკანასკნელ სეირნობის დღესა:

— რა კარგი დღე იყო! რა ნათლად ბრწყინავდა მზე! გახსოვს საფლავის კუნჭული? ჟმაწვილი ქალის საფლავი?.. იქ არის კიდევ ადგილი... მე იქ მინდა...

— გაჩუმდი, გაჩუმდი, ეგ არ შეიძლება!

— ნუ სწუხარ! მე ვიყავ პატარა, უპატრონო ქალი, რომელსაც შენ მომეცი მცირე ხნის ბედნიერება, და ამის მოგონება შენ ყოველთვის სახსოვრად დაგრჩება... ვისაც შენ თავის დროზედ შეირთავ, არ ექმნება უფლება შენ ხედ იჭვნეულებდეს...

— გაჩუმდი, ლიუსი, ნუ მომკლავ!

პიერი ცრემლებს ვერ იმაგრებდა. ლიუსი ცდილობდა იმის ნუგეშის ცემას.

— მცირედი სამწუხარო მოსაგონებელი ყოველთვის სასარგებლოა: ხან-და-ხან ისე დაალონებს კაცს, როგორც ნელი სევდიანი სიმღერა, ბავშობის დროს გაგონილი... მე განა გამოგადგებოდი ცოლად?

პიერი კვალად სტიროდა. ლიუსიმ მიიწია, მიუახლოვდა და წაუჩურჩულა:

— განა მე კი არ მესაჭიროება მხნეობა?.. რად მართმევ ამას!..

მეორე დღეს ლიუსი გათავდა. იმ დღეს მზე მშვენიერად ბრწყინავდა და ერთმა სხივმა გადურბინა მომაკვდავს სახეზედ. იმან ძალადატანებით გაიღიმა და წაიჩურჩულა:

— მე შენ მიყვარხარ...

. . . . . .

პატარა სასაფლაოს კუნჭულში აღმოჩნდა ახალი საფლავი. საფლავის ქვაზედ ეწერა:

ლიუსი მორან

გარდაიცვალა ოცდა ერთის წლისა.

ამან ცხოვრებაში მხოლოდ გაზაფხული ნახა.

. . . . . .

გავიდა ორი წელიწადი.

პიერ ლანდროლმა მიიღო მედალი, სურათების გამოფენაზედ.

იმ დღეს, როდესაც იმის სახელი გაზეთში დაიბეჭდა, იმისმა ნათესავმა ფრანსუაზამ პიერისაგან შემდეგი ბარათი მიიღო:

,,საყვარელო ფრანსუაზა!

,,ორი წლის წინად შენ დიდი შემწეობა მომეცი, მე დიდხანს ვცდილობდი სამაგიეროს გადახდას. მე მინდოდა ღირებული რამ მომერთმია შენთვის და ბევრი ვიშრომე, რომ ეს შემესრულებინა. მიიღე ჩემგან საჩუქრად სურათი, რომლის გულისათვისაც პირველი ჯილდო მივიღე. შენი ყულაბი, საყვარელო ფრანსუაზა, მალე გარდაიქცა კუბოდ; მე ყოველისფერს როდისმე გიანბობ დაწვრილებით; ალგიწერ პატარა საფლავს, სოფლის სასაფლაოს კუნჭულში, ცფნის ხის ჩრდილ-ქვეშ, რომელზედაც ხშირად ვაწყობ ყვავილებს; მას ძალიან უყვარს ისინი!

,,სრულიად დაივიწყებას ნუ მიმცემ საყვარელო დაო. მე სრულებით მარტო ვარ და ძალიან ხშირად ვნაღვლობ; რადგან და არა მყავს, ხშირად ვფიქრობ შენზედ.''

პიერი.

ჟმაწვილი ქალი სახლში ყველას უყვარდა და ყულაბის მიცემისათვის არავინ გასჯავრებია.

წიგნის მიღების შემდეგ, ბიძიამ კისერი მოიფხანა და ჩუმად გავიდა სახლიდან.

ის წავიდა სურათების მყიდავს ვაჭართან.

— იცნობთ ვილაც პიერ ლანდროლსა? ჰკითხა მან სურათების სინჯვის დროს

— როგორ არ ვიცნობ! ერთს სურათში მე მას ხუთი ათასი ფრანკი ვაძლიე. ჟმაწვილი ძალიან მაღლა მიდის და მალე შეიძენს როგორც სახელსა, ისე ფულებსაც!

— დასწყევლოს ღმერთმა! მაშ მხატვრობა ცუდი ხელობა არა ყოფილა? შინ რომ დაბრუნდა, ბიძიამ უთხრა შინაურებს, პიერი სადილად უნდა დავიპატიჟოთ.

ფრანსუაზამ დაუყოვნებლივ აღასრულა მამის სურვილი. პიერი მალე შეიქმნა იმ ოჯახის წევრი...

გაზაფხულის ნაწვიმი მალე შრება მზისაგან...

ნინო ერისთავისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტ-მოქმედების თაობაზე. მაზრის უფროსს ბარონ ნოლდეს გადაწყვეტილი აქვს რვა წლის კატორღა ქარხნებში; მისს თანაშემწეს გრაფს დევიერს ციმბირში დასახლება. დასჯილთა შორის არიან აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაციის რამდენიმე პირნი.

თებერვლის 19-ს

პეტერბურგი. პროექტი სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკისა ამ დღეებში შეიტანება სახელმწიფო რჩევაში.

ბერლინი. გუშინ რეიხსტაგში ბისმარკმა წარმოსთქვა, რომ ინგლისში უკმაყოფილოდ არიან იმის გამო, რომ ვითომც მას ეგვიპტეზედ ეთქვას რამე; მაგრამ იმას არაფერი უთქვამს გარდა იმისა, რომ ინგლისის ადგილას სულთანს შუამავლად გავხდიდი და ეგვიპტეს არ შემოვიერთებდი, რომ საფრანგეთისთაის არ მეწყეინებინა. მაგრამ თუ ინგლისი იმის რჩევის წინააღმდეგ ეგვიპტეს დაიპყრობს, ბისმარკი წინააღმდეგობას არ გაუწევს, რადგან გერმანია ინგლისის მეგობრობას უფრო აფასებს, ვიდრე ეგვიპტის ბედის წერას.

პარიჟი. პალატამ არ მიიღო ბაჟი სიმინდზედ.

ლონდონი. გაზეთებს მოსწონთ, რომ კაბინეთი რჩება, მაგრამ ამბობენ, რომ მისი მდგომარეობა ჯერ კიდევ საშიშია, რადგან შეიძლება რადიკალები კონსერვატორებს შეუერთდნენ.

კელნი. აქ ჩამოიქცა სასტუმრო მაგრამ არავინ არ დაზიანებულა.

ბერნი. აქ ოცი ანარხისტი დაატუსაღეს.

# ცნობანი

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსულის ფქვილისა | —1 გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა | —1 გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა | —1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა | —1 გ. | $2^1/_2$ |
| ჭვავის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა | —1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 8 კ. |
| მეორისა | —1 გ. | 7 კ. |
| სუკი | —1 გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 8 კ. |
| მეორისა | —1 გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და ხარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

ინგლისური რკინის კრაოტები.



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, სამაქრე, კოვზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის კიდები (?), საწყაო, სვები, რიუმკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ქმალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—3)

# ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. ტფილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказсскую книжнюю торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16 0)

## საგლოობეუსო  კალმები

ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისიეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის", 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასეები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაქდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტკები, პირ-სახოცები, ჰოჭონები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა" (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—4)

## ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიაა ლანგოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | 1 მან.—კაპ. | ჩაის სხვაგან | 1 მან. 20 ღირებულს. |
| „ „ | 1 — 20 — | „ „ | 1 — 50 — |
| „ „ | 1 — 40 — | „ „ | 1 — 80 — |
| „ იშვიათი | 1 — 60 — | „ „ | 2 — 20 — |
| „ ხინეთის ყვავილი | 1 — 80 — | „ „ | 2 — 50 — |
| „ ჩუნქჩუ | 2 — „ — | „ „ | 2 — 80 — |
| „ ფენომენი | 2 — 40 — | „ „ | 3 — „ — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესსენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის უჩვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავოტებისას და სხვ... (100—4)

САМЫЙ ПОЛНЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

РАДУГА ДАЕТЪ СВОИМЪ ЧИТАТЕЛЯМЪ 99 БЕЗПЛАТНЫХЪ ПРИЛОЖЕНІЙ ВЪ ГОДЪ И ОДНУ ПРЕМІЮ.

Иллюстрированный семейный журналъ, III годъ изданія.—Въ годъ 50 №№ | Подписная цѣна: въ годъ съ доставкою и пересылкою 5 р.

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 руб., затѣмъ 3 мѣсяца подрядъ по 1 р.

Адресъ редакціи: Москва, Столешниковъ пер., д. Корзинкина.

Ц. 10.209 (5—1).

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Февраля 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.